თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. თელავი 24.01.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ა. მახარიაშვილი; ზ. ნაცარაშვილი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: **დ. ღაღანიძე; გ. ჩაბრაშვილი; გ. წაწალაშვილი; ვ. არაბული; ა. კუპატაძე; ა. თვალიაშვილი; მ. მარკოზაშვილი; ლ. ოთიურიძე.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე;** სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **დ. ნუსხელიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **ნ. ბაჩიაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის #70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის #70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება, თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს 2019 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში, რომლითაც მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში გარდამავალი პროექტების, ვალდებულებების და 2019 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება. ასევე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების განხორციელების მიზნით, გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის გადასახდელებში ასახვაში.

ტ. დარეჯანიშვილმა, ა. შათირიშვილმა, გ. მამუკელაშვილმა, ლ. მრელაშვილმა, ზ. ლილუაშვილმა, ზ. ნაცარაშვილმა გარკვეულ საკითხებზე განმარტებები მოითხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის ნ. ბაჩიაშვილისგან, რომლისგანაც ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მუნიციპალიტეტის მერიისთვის 4,8 ათ. ლარიანი ფოტოაპარატის შეძენასთან დაკავშირებით, საკრებულოს სხდომაზე მერიის კომპეტენტური წარმომადგენლისგან გაკეთდეს განმარტება მის შეძენის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს: კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დ. გოგოშვილი